წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია –	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია –	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორის მიერ (2025 წლის 08 სექტემბრის სენატის დადგენილება, ოქმი №10);
3. მოქმედებაშია –	დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება –	წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები –	ცვლილებათა შეტანა წარმოებს შპს ბუსსს ანრიში წინამდებარე დოკუმენტების გამოყენების შედეგების მიხედვით, ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი.

6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა შეტანის საფუძველი	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შინაარსი

1. გავრცელების სფერო 5
2. ნორმატიული მითითებები 5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები 5
4. ზოგადი დებულება 6
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მიზნები 7
6. PDCA ციკლი 8
7. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების შეფასება 11
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის წესი..... 13
9. საწვრთნელი კურსის პროგრამის და წვრთნის პროცესის შეფასება 22
10. სასწავლებლის რესურსების შეფასება 23
11. სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება 23
12. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება 24
13. SWOT ანალიზი 24
14. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება..... 25
15. პერიოდული შემოწმების ფურცელი 28
16. პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის ფურცელი 29
17. შეთანხმების ფურცელი 30

1. გავრცელების სფერო

1) წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი აღწერს ბუსსს ანრის საქმიანობის შეფასებისა და მუდმივი განვითარების მიზნით გამოყენებულ შიდა და დამატებითი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აღრიცხული ეგზემპლიარები ინახება ბუსსს ანრის ხარიხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც მყარი, ასევე ელ.ვერსია), გასაჯაროებულია შიდა ქსელში და ვებგვერდზე;
3) მექანიზმის დასაგზავნი ეგზემპლიარების მომზადება და დაგზავნა ახდენს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები
4) ნდ №2-010101 - შპს ბუსსს ანრის წესდება;
5) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
6) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 წინამდებარე ნოემატიული დოკუმენტის ტექსტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და შემოკლებები:

1) **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)** - შიდა მერგულირებელი აქტი, დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
2) **დოკუმენტების პერიოდული შემოწმება** - ქმედება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დამტკიცება, გაუქმება;
3) **ცვლილებები** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;

4) **ხარისხის სამსახური** - ბუსსს ანრის ხარიხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
5) **საწვრთნელი კურსი** - მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირებისთვის განსაზღვრული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი კურსი

3.2 შემოკლებები:

1. **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)**- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **ნდ** – ნორმატიული დოკუმენტი;
3. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა;
4. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

1) ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ემსახურება სასწავლებლის მისიის განხორციელებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.
2) ბუსსს ანრიში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და დამატებითი მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლებლის საქმიანობისა და რესურსების შეფასებას და მუდმივ განვითარებას და მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

   - **I საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების, საწვრთნელი პროგრამების და საწვრთნელი პროცესების შეფასებას;**
   - **II სასწავლებლის რესურსების შეფასებას;**
   - **III სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას.**

3) ბუსსს ანრი მიიღწვის სასწავლებელში ხარისხის კულტურის განვითარებისკენ და იმგვარი კულტურის დანერგვისკენ, რომელშიც სასწავლებლის საზოგადოების თითოეული წარმომადგენელი აცნობიერებს საკუთარ ფუნქციასა და პასუხისმგებლობას ხარისხის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში. ამ მიზნის მისაღწევად, ბუსსს ანრი ნერგავს ხარისხის ერთიან სისტემას და ზრუნავს მის გაზიარებაზე და სასწავლებელში დანერგილ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში ითვალისწინებს როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
4) წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. სასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, სასწავლებელის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით,

სამოქმედო გეგმის საფუძველზე, თუ გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტში ასახული მექანიზმები მოდიფიცირდეს, გაუქმდეს და/ან დაემატოს ახალი. ბუსსს ანრი ახორციელებს სისტემურ და საჭიროებებზე დაფუძნებულ ხარისხის შეფასებებს. სისტემური შეფასებები ხორციელდება წინასწარგანსაზღვრული პერიოდულობით, განსაზღვრული მექანიზმებით და შემუშავებული ინსტრუმენტებით, ხოლო საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებისას, განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტს, ასევე შეფასებაში მონაწილე პირებს.

5) წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლებლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, მათი მუდმივად განვითარების მიზნით. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული შეფასებების შედეგები გაითვალისწინება სასწავლებელის ყველა მმართველი რგოლის მიერ და შემდგომი გადაწყვეტილებები, სასწავლებელში საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვა-განვითარებისათვის, მიიღება აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით. ხარისხის კულტურის დანერგვისა და განვითარების მიზნით, შეფასების შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

6) წინამდებარე დოკუმენტი უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესახებ საზოგადოების (როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ პირთა) ინფორმირებას, ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სისტემის ერთიან გაგებას და ხარისხის კულტურის ზრდას.

5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მიზნები

ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

1) **უწყვეტობა** - ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცესები ეყრდნობა ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლს;
2) **ანგარიშვალდებულება** - სასწავლებელი აცნობიერებს, რომ იგი საკუთარი საქმიანობით ანგარიშვალდებულია პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, მსმენელის, პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების კურსდამთავრებულების, დარგისა თუ სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოების წინაშე და მიზნად ისახავს, საკუთარი საქმიანობა განახორციელოს მაღალი პასუხიმსგებლობითა და ხარისხით;
3) **სანდოობა** - ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს შეფასებისა და შეფასების შედეგების გამჭვირვალობას, სანდოობას და სიზუსტეს.
ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს მარეგულირებელ სტანდარტებს და ეყრდნობა მათ.

6. PDCA ციკლი



დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური იყენებს **„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე “(PDCA)** ციკლის მიდგომას. რომლის შესაბამისად ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს სასწავლებელის საქმიანობის შესამოწმებელ/შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თავად ამოწმებს ან/ და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.

- **დაგეგმვა**

  სასწავლებელის განვითრების სტრატეგიული გეგმის, წინამდებარე დოკუმენტისა და სასწავლებლის სხვა რეგულაციების შესაბამისად ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავს ჩასატარებელ სამუშაოს, რასაც ასახავს ყოველწლიურ სამუშაო (სამოქმედო) გეგმაში. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით ხორციელდება როგორც პერიოდული შეფასება, რომელიც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრულ შეფასებებს, ასევე საჭიროებებზე დაფუძნებულ კვლევებს, იდენტიფიცირებული საჭიროებების მიხედვით.

  დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრება შეფასების თანმიმდევრობა, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების პროცედურა, ვადები, ხდება შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება, ამ ეტაპზე, შემოწმების/ შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე სასწავლებელის თანამშრომლები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები.

- **განხორციელება**

  განხორციელება მოიცავს შეფასების პროცესს, დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული მექანიზმებით/პროცედურებით თუ ინსტრუმენტებით. განხორციელების ეტაპი შეიძლება გულისხმობდეს დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.

- **შეფასება/შემოწმება**

  შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს საკუთრივ შემოწმების/შეფასების პროცესს. ამ ეტაპზე ხდება მოპოვებული მონაცემების/ინფორმაციის შეფასება

- **განავითარე (რეაგირება)**

  შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ინერგება შესაბამისი პოლიტიკა/პროცედურა, რომელიც წარმატებულია, უწყვეტი ციკლი იწყება ახლიდან და უბრუნდება დაგეგმვის ეტაპს.

ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი

ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების მომზადებასა წერილობით ან/და ზეპირ წარდგენას.

შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების/წვრთნის ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.

ამ მიზნით მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანონიმური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში:

- ✓ გამოკითხვის და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს იყენებს სასწავლო პროცესისა და სწავლების, წვრთნების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებისთვის და ამავდროულად ამოწმებს ჩასატარებელი ღონისძიებების დროულად შესრულებას;
- ✓ შეიმუშავებს, კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მეზღვაურთა საწვრთნელი პროგრამების სასწავლო და საწვრთნელი პროცესის სტანდარტებთან შეუსაბამისობის აღმოფხვრის ინსტრუქციებს, რეკომენდაციებს და ღონისძიებებს, ამოწმებს შესრულებული სამუშაოს შედეგებს;
- ✓ ამოწმებს, კომპეტენციის ფარგლებში, თუ რამდენად არის მატერიალურ-ტექნიკური რესურს(ებ)ით სწორად და შეუფერხებლად უზრუნველყოფილი სასწავლო/საწვრთნელი პროცეს(ებ)ი;
- ✓ ადგენს, კომპეტენციის ფარგლებში, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის/სასწავლო რესურსის შევსება-განახლებისა და მოდულებში და საწვრთნელ პროგრამებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას და ამოწმებს სასწავლო რესურსის/ფონდის შევსებას;
- ✓ ადგენს, კომპეტენციის ფარგლებში, კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება-განახლების, სასწავლო პროცესში მისი გამოყენების შესაძლებლობის და პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობას და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას;
- ✓ უწევს მონიტორინგს, კომპეტენციის ფარგლებში, რამდენად სწორად და დროულად ხდება ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და/ან სასწავლო მასალების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების /პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ აღმოფხვრას;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და საწვრთნელ პროცეს(ებ)ში ჩართული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში,

მათი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების ან ახალ დებულებების შემუშავების აუცილებლობის შესახებ;

- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და საწვრთნელი პროგრამების განხორციელების, სასწავლებელის საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში, პროცედურებში შესატან ცვლილებების ან ახალი დებულებების/პროცედურების შემუშავების აუცილებლობის შესახებ;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში შესატან ცვლილებებს პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის და მხარდაჭერის სერვისის უზრუნველყოფისა და ხარისხის ამაღლების მიზნით;
- ✓ აანალიზებს ზემოხსენებული შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს სასწავლებელის სენატს;
- ✓ აანალიზებს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო და საწვრთნელი პროცესის მონიტორინგის და პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, მსმენელების, ინსტრუქტორების, პერსონალის ანონიმური გამოკითხვების/ კმაყოფილების და საჭიროების შედეგებს და ხარვეზების წარმოქმნის მიზეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მაკორექტირებელ გეგმას სასწავლო და საწვრთნელი პროცეს(ებ)ის სრულყოფის და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;
- ✓ კონტროლს უწევს დაგეგმილი მაკორექტირებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს და სხვა.

წინამდებარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (PDCA ციკლი) და მისი რეალიზებით მიღწეული შედეგები (შემუშავებული რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმები და სხვა) მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევას, სასწავლებელის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო და საწვრთნელი პროგრამების შემდგომ სრულყოფას და ხელს შეუწყობს სასწავლებელში ეფექტური, ადეკვატური და სტრატეგიულად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება-განხორციელებას.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და სწავლა-სწავლების პროცესის შეფასება

სასწავლებელში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება (მფ-02-№250...)
- დაინტერესებული პირების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, დარგის ექსპერტების ფოკუს-ჯგუფი (იქმნდება საჭიროებიდან გამომდნარე);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (ურთიერთდასწრება; პერიოდული მონიტორინგი; ღია გაკვეთილები/ლექციები);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროების და კმაყოფილების შეფასების შედეგები სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სერვისებით (2 წელზე მეტი პერიოდით ბუსსს ანრიში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებელს კმაყოფილების და საჭიროების კვლევა უტარდება 2 წელიწადში ერთელ, ხოლო 1 წელი და ნაკლები პერიოდის დასაქმებულს დასაქმებიდან 1 წლის თავზე);
- სხვა კვლევები/გამოკითხვები საჭიროებიდან გამომდინარე;
- გარე შეფასება.

კონკრეტული კვლევის შემდეგ მზადდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში პროფესიული განათლების დეპარტამენტის ჩართულობით და სენატზე განხილვის შემდეგ მიიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს საზღვაო სასწავლებელს მრავალმხრივ შეისწავლოს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, არსებული გამოწვევები თუ ძლიერი მხარეები. რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების სინთეზი იძლევა სიღრმისეული შეფასების საშუალებას. რაოდენობრივი შეფასებით გამოკვეთილი პრობლემური საკითხების შესასწავლად ხდება საკითხის თვისებრივი მეთოდებით, უფრო სიღრმისეულად შესწავლა.
სისტემური შეფასებები ხორციელდება წინასწარშემუშავებული გეგმის შესაბამისად. გარკვეული პროცედურები, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამების განვითარების მიზნით ხორციელდება პროგრამის მიწურულს თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება დამატებითი კვლევები, რომელიც, შესაძლოა არ წარმოადგენდეს წლის დასაწყისში დაგეგმილ კვლევას.
პროგრამებში ცვლილებების განხორციელება შეიძლება მოხდეს პროგრამის წლიური ანაგრიშისგან დამოუკიდებლად, შიდა ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით

(სისტემური თუ საჭიროებებზე დაფუძნებული), მაგ: შრომის ბაზრის ანალიზი, მათი პროგრესისა თუ განთესვის მაჩვენებელი, მობილობის მაჩვენებელი და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, აგროვებს პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ურთიერთშეჯერებით, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

იხ. ცხრილი 1. რესურსების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩო

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ვერიფიკაციის წესი

ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის ექსპერტები და სხვა) სხვა)შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების/შედეგის დადასტურების პროცესში.
ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დირექტორს წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დირექტორი ბრძანებით ამრტკიცებს ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ან დირექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი.

ვერიფიკაცია/შემოწმება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური/სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობას და წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაცი(ებ)ის მაღალი ხარისხის გარანტს.
არსებობს ვერიფიკაციის/შემოწმების ორი დონე:

- შიდა ვერიფიკაცია/ შემოწმება;
- გარე ვერიფიკაცია/შემოწმება.

8.1 შიდა ვერიფიკაცია

შიდა ვერიფიკაცია კოლეჯის პასუხისმგებლობაა და შემოწმების პროცესს განახორციელებს ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ყველა ან შერჩეული მოდულების ფარგლებში, სხვადასხვა სიხშირით საჭიროების მიხედვით.
შიდა ვერიფიკაციის/შემოწმების სისტემა ამოწმებს რამდენად ზუსტად იგეგმება და ტარდება შეფასება, ასევე რამდენად ზუსტი და სამართლიანია სტუდენტების შეფასება. შიდა ვერიფიკაციის სისტემა არის ინტერაქტიური და დახმარებაზე ორიენტირებული პროცესი. მისი მიზანია:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება;
- სწავლებისა და შეფასების სიტემის განვითარება;
- პროგრამის განმახორციელებელ პირთათვის ტრენინგების საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შიდა ვერიფიკაციის სისტემა, მოიცავს დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შიდა ვერიფიკატორსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს შორის ფუნქციების გადანაწილებას, ასევე, შიდა ვერიფიკატორების შერჩევის, შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის, შეფასების შედეგების განხილვისა და პროცესში ჩართული მხარეებისათვის უკუკავშირის მიწოდების წესსა და პროცედურას.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:



ვერიფიკაციის პროცესის ფასილიტაციას/ხელმძღვანელობას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ვერიფიკაციის ჯგუფი ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგენით, რომლის საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო რისკების მეტი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს ცვლილება მოდულში/დარგში/განხორციელების მიდგომებში, დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება მიღებული, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს დადებითი შეფასება მიღებული და სხვა. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც განხორციელდეს, მაგალითად ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის გარკვეული პროცენტი და სხვა;

შიდა ვერიფიკატორის შერჩევისას გათვალისწინებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირს არ შეუძლია განახორციელოს თავისივე შექმნილი შეფასების ინსტრუმენტის ან მის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის/შესაბამისად მტკიცებულების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესის გამარტივებისა და სისტემატიზაციის მიზნით, ვერიფიკაციის ჯგუფი იყენებს სხვადასხვა კითხვარებს რომლებშიც ასახავს ვერიფიკაციის შედეგებს.

ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:

- ✓ შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში შეხვდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს, პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს და სხვა ჩართულ მხარეებს;
- ✓ უნდა შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე;
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს, რათა რომელიმე პირი არ დომინირებდეს;
- ✓ განსახილველ საკითხებზე შეთანხმების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სრულად იქნას გამოყენებული ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა მონაწილის კომპეტენცია და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ყველა კრიტერიუმის საფუძველზე კომპლექსურად და ობიექტურად განხორციელდეს. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შევსებული ვერიფიკაციის კითხვარის შედეგები შეჯამდება. თითოეული დაასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას საჭიროებენ;
- ✓ ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი, აღნიშნული გამოყენებული იქნება, როგორც

ინდივიდუალური კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. შესაძლოა ვერიფიკატორმა არსებულ ჩამონათვალს თავისი კრიტერიუმიც დაამატოს;

- ✓ ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს თითოეულ საკითხს, თანხმდება ერთიან პოზიციაზე და დასკვნაში ხდება შეჯერებული აზრის დაფიქსირება.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა გამოკვეთილი საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო/მაკორექტირებელი გეგმის პროექტს, დასკვნას ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი;

ვერიფიკაციის შედეგები/დასკვნა გაეცნობა შეფასების პროცესში ჩართული პირებს მათი საქმიანობის/შეფასების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის;

დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხარეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა სასწავლებლის მარეგულირებელ დოკუმენტებში შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

დაწესებულება ვერიფიკაციის დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ხარვეზების/პრობლემების გამოსწორებისათვის სამოქმედო/მაკორექტირებელ გეგმას. სამოქმედო/მაკორექტირებელ გეგმაში სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად.

სამოქმედო/მაკორექტირებელ გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილიც.

ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვერიფიკაციის პროცესი შეიცვალოს და გაჩნდეს ახალი რეგულაციები, რაც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

განმეორებითი ვერიფიკაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა, ან შეიცვალა განმახორციელებელი პირი, ან რაიმე სხვა გარემოებაა გამოკვეთილი პროფესიული სტუდენტების/მოდულის განმახორციელებელი პირების კვლევის შედეგებით.

შეფასების ინსტრუმენტების ცვლილების ინიცირების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს შეფასების პროცესის ანალიზის შედეგები.

შეფასების ინსტრუმენტის გადახედვა შესაძლებელია ინიცირების საფუძველზე. ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს/ შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრს,

სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძრვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.
ცვლილებების განხორციელების დროს შეფასების ინსტრუმენტებმა თავიდან უნდა გაიაროს ვალიდაცია.

8.2 გარე ვერიფიკაცია/შემოწმება

გარე ვერიფიკაცია/შემოწმება წარმოადგენს ხარისხის შეფასების სისტემას, რომელსაც ახორციელებენ გარე შემმოწმებლები/ვერიფიკატორები და რომელმაც უნდა შეაფასოს არის თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური/სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.
გარე ვერიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი განმახორციელებელი არის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). გარე ვერიფიკატორი შეიძლება იყოს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი და სხვა.

გარე ვერიფიკაცია/შემოწმება ფოკუსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები არის თუ არა ვალიდური;
- არსებობს თუ არა შეფასების მტკიცებულება ყველა პროფესიული სტუდენტისათვის;
- სწორია თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული შეფასების გადაწყვეტილები;
- ეფექტურია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ვერიფიკაციის/შემოწმების სისტემა.

8.3 შერჩევა

შიდა ვერიფიკაციისას ხორციელდება სტრატიფიცირებული შერჩევა.
პირველ ეტაპზე განისაზღვრება მოდულთა (მასთან მიმართებაში შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების მტკიცებულებების) ის რაოდენობა, რომელიც უნდა შემოწმდეს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო შემდეგ, თითოეული მოდულის ფარგლებში შეირჩევა პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა, რომელიც მოცემული ჯგუფის ზომისთვის უზრუნველყოფს შემოწმების შედეგების რეპრეზენტატულობას.
პროგრამის ფარგლებში გადასამოწმებელი მოდულების შერჩევის მინიმალური მოცულობა განისაზღვრება პროგრამაში დასრულებულ მოდულთა რაოდენობით.

შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა სქემით. მაგალითისთვის შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სქემის მიხედვით[1]:

01 – 20 მოდულამდე -40%
21 - ზემოთ მოდულამდე - 20%

მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებებისათვის შერჩევის მინიმალური მოცულობა განისაზღვრება 20%-იანი სტანდარტით. ნებისმიერი ნაკლები შერჩევა ვერ უზრუნველყოფს მიღებული შედეგების რეპრეზენტატულობას.
შერჩევის მოცულობა დამოკიდებულია პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის ზომაზეც.
კერძოდ:

1 – 4 პროფესიული სტუდენტი	- შერჩევაში შევა ყველა
5 – 20 პროფესიული სტუდენტი	- მინიმუმ 4
21 პროფესიული სტუდენტი ან მეტი	- მინიმუმ 20%

თუ შემმოწმებელი (ვერიფიკატორი) შეფასების პროცესში დააფიქსირებს გარკვეულ შეუსაბამობას ანდა ხარვეზებს, შესაძლებელია, რომ შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა.
ეს სქემა მუშაობს, როდესაც ხორციელდება ამა თუ იმ პროგრამის ფარგლებში პირველადი ვერიფიკაცია, შემდგომ შესაძლოა განისაზღვროს განსხვავებული მიდგომა, მაგალითად იმ მოდულისათვის, რომელსაც დაწესებულება დიდი ხანია ახორციელებს და ყავს გამოცდილი განმახორციელებელი, და ეს მოდული უკვე დაექვემდებარა ვერიფიკაციას, არ შეცვლილა არც განმახორციელებელი პირი, არც შეფასების ინსტრუმენტი, შესაძლოა შემთხვევითი შერჩევით შემოწმდეს რამდენიმე ინსტრუმენტი ან მტკიცებულება, ან საერთოდ აღარ დაექვემდებაროს ვერიფიკაციას გარკვეული პერიოდი, თუმცა არაუმეტეს სამი წლისა.

8.4 ვერიფიკაციის ეტაპები

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა;
- ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ინსტრუქტაჟი;
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტის შესწავლა;
- ვერიფიკაციის გეგმის შემუშავება და ინსტრუმენტების შემუშავება/გადახედვა (კითხვარები, ჩეკ-ლისტები და სხვა)
- შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ის შემოწმება;
- პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმება;

[1] თუ დაფიქსირდა 10 მოდულზე ნაკლები, უნდა გადამოწმდეს ყველა მოდული

- შეფასების პროცესის შემოწმება;
- შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვის პროცესის შემოწმება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება.

ვერიფიკაციას ახორციელებს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შედგება განათლების ექსპერტისა და დარგის ექსპერტისაგან. განათლების ექსპერტი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის/შეფასების პროცესის ფორმალურ მხარეს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ერთვება პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმების პროცესში, ხოლო დარგის ექსპერტი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს და პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებებს.

8.5 შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება

ვერიფიკატორი შეფასების ინსტრუმენტის შეფასებისას უნდა დარწმუნდეს, რომ დაცულია ვალიდობის და გამჭვირვალობის პრინციპები, რისთვისაც შეფასების ინსტრუმენტს ამოწმებს ორი მიმართულებით:

1) **ტექნიკური ნაწილი**
2) **შინაარსობრივი ნაწილი**

ამ პროცესით ასევე მოწმდება კოლეჯში დანერგილი ვალიდაციის პროცედურაც, რამდენად მართებულადაა განხორციელებული ვალიდაცია.

☞ **ტექნიკური მხარის შეფასებისას** ვერიფიკატორმა უნდა განსაზღვროს:

ა) შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტი მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებას;
ბ) შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს თუ არა სწავლის იმ შედეგის/შედეგების და შეფასების კრიტერიუმების დასახელებას, რომლის შეფასებისთვისაც შეიქმნა ის;
გ) შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები გასაგები ენით არის თუ არა აღწერილი, მოცემულია თუ არა მათი შესრულების ინსტრუქტაჟი;
დ) შეფასების ინსტრუმენტში ასახულია დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო;
ე) აღწერილია თუ არა შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ინვენტარი;
ვ) საჭიროების შემთხვევაში, აღწერილია შეფასების პროცესის პირობები, თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა. შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს თანამშრომლობა შეფასების პროცესში და სხვ.

ყოველივე აღნიშნული საკმარისია, არაა ზედმეტად შემზღუდავი ან ზედმეტად თავისუფალი;

ზ) დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად;

თ) შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ;

ი) განსაზღვრულია, თუ რა სახის მტკიცებულებით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება.

კ) და სხვა(ვერიფიკაციის ჯგუფს შეუძლია დაამატოს ან შეცვალოს კრიტერიუმი).

☞ **შინაარსობრივი ნაწილის შეფასებისას** ვერიფიკატორმა უნდა განსაზღვროს:

ა) კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შეფასების კრიტერიუმსა და სწავლის შედეგს;

ბ) კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული ყველა შეფასების კრიტერიუმისა და სწავლის შედეგის დასადასტურებლად;

გ) დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად;

დ) შეფასების ინსტრუმენტში სწორადაა განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი.

ე) და სხვა(ვერიფიკაციის ჯგუფს შეუძლია დაამატოს ან შეცვალოს კრიტერიუმი).

ვალიდაციის პროცედურის შემოწმებისათვის დამატებით ფოკუს ჯგუფთან შეხვედრის ან კითხვარების საშუალებით დგინდება ვალიდაცია ხორციელდება თუ არა დადგენილ ვადებში, რამდენად ინფორმირებულია განმახორციელებელი პირი ამ პროცედურის შესახებ, არსებობს თუ არა შეფასების ინსტრუმენტის გასაღები და სხვა.

8.6 პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმება

მტკიცებულებების შემოწმების პირველ ეტაპზე ვერიფიკატორებმა უნდა გადაამოწმონ განხორციელდა თუ არა შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით. ასევე, მნიშვნელოვანია დადგინდეს შესაბამისობა შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ მტკიცებულების სახესა და რეალურად, პროფესიულ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შორის.

პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმება ემყარება შერჩევის პრინციპს, თუმცა საწყის ეტაპზე ვერიფიკატორი უნდა დარწმუნდეს, რომ დაწესებულებაში ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულება ხელმისაწვდომია-აღრიცხულია და მიკვლევადია.

შეფასების მტკიცებულებების შემოწმება ხორციელდება ოთხი მიმართულებით:

1) მტკიცებულებების საკმარისობა - მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკნვათ, რომ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმის შესაბამისად;
2) მტკიცებულებების ვალიდურობა - ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო; ანუ პროფესიულ სტუდენტის ნამუშევარი ნამდვილად შეესაბამება შეფასების ინსტრუმენტის მოთხოვნებს;
3) შესაძლებელია მტკიცებულებათა ავთენტურობის დადგენა, რაც გულისხმობს, რომ:
   ა) შესაძლებელია კონკრეტული შეფასების მტკიცებულების მიხედვით მისი შემსრულებელი პროფესიული სტუდენტის იდენტიფიკაცია;
   ბ) შესაძლებელია გადამოწმდეს კონკრეტული შეფასების მტკიცებულება ნამდვილად ამ პროფესიული სტუდენტის მიერ არის შექმნილი თუ არა. ამ კომპონენტის შემოწმების ფარგლებში სასურველია გარე ვერიფიკატორმა მოახდინოს პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუირება;
4) მტკიცებულების ტრანსფერულობა - მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იამვე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმის შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. ვერიფიკაციის დროს უნდა შემოწმდეს აღნიშნული საკითხი როგორ არის დარეგულირებული, არის თუ არა აღრიცხვული, მიკვლევადი მტკიცევულებები.

8.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების/შეფასების პირობების/პროცესის შემოწმება

იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესი აჩვენებს მნიშვნელოვან ხარვეზებს, გარე ვერიფიკატორები განახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობების/შეფასების პროცესის შემოწმებას. კერძოდ, პროცესზე დასწრებით, ჩართული მხარეების ინტერვიუირებით და სხვა რელევანტური გზით, რომელსაც აირჩევს ვერიფიკაციის ჯგუფი, უნდა დადგინდეს, რა იწვევს პრობლემებს შეფასების სისტემაში, ეს დაკავშირებული დაწესებულების მიერ სწავლების

პროცესში გამოყენებულ სწავლა/სწავლების მეთოდებთან, ლიტერატურასთან, მატერიალურ აღჭურვილობასა და მასალებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირთა კომპეტენციებთან თუ დაწესებულების შიდა ვერიფიკაციის სისტემის არაეფექტურობასთან.
პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება განხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

9. საწვრთნელი კურსის პროგრამის და წვრთნის პროცესის შეფასება

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების მოკლევადიანი საწვრთნელი კურსის პროგრამ(ებ)ის შემუშავება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, დამტკიცება და გაუქმება ხდება შემუშავებული და დანერგილი წესის მიხედვით, რომელიც საწვრთნელი პროცესის მარეგულირებელი დებულების ნაწილია და სავალადებულოა დასაცავად პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის. პროგრამის შემუშავების წესი ითვალისწინებს პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. საწვრთნელი პროგრამების შემუშავება ხდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს რეგულაციების თანახმად ხდება პროგრამების აღიარება, 12 თვეში ერთხელ პროგრამის შემმუშავებელი ახდენს პერიოდულ შემოწმებას.
საწვრთნელი პროგრამები უნდა აკმაყოფილებდნენ „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით საერთაშორისო კონვენციის და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

სასწავლებელში მოქმედი საწვრთნელი კურსების პროგრამების და საწვრთნელი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

- დაინტერესებული პირების - მსმენელების ანონიმური გამოკითხვა (ყოველწლიური);
- საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობის შეფასება (ურთიერთდასწრება, წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად);
- ინსტრუქტორთა კმაყოფილების და საჭიროების კვლევა (2 წელზე მეტი პერიოდით ბუსსს ანრიში დასაქმებულ ინსტრუქტორს კმაყოფილების და საჭიროების კვლევა უტარდება 2 წელიწადში ერთელ, ხოლო 1 წელი და ნაკლები პერიოდის დასაქმებულს დასაქმებიდან 1 წლის თავზე, ან სახელშეკრულებო ვადის დამთავრების დროს);
- სხვა კვლევები/გამოკითხვები საჭიროებიდან გამომდინარე;
- გარე შეფასება.

იხ. ცხრილი 1. რესურსების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩო

10. სასწავლებლის რესურსების შეფასება

სასწავლებლის რესურსების შეფასება მოიცავს ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსების შეფასებას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (სასწავლო წლის მიწურულს);
- საწვრთნელი კურსების მსმენელების კმაყოფილების კვლევა (ყოველწლიური);
- პროფესიულ განათლების მასწავლებლის და საწვრთნელი კურსის ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამის ინსტრუქტორის კმაყოფილების კვლევა (2 წელზე მეტი პერიოდით ბუსსს ანრიში დასაქმებულ პირს, კმაყოფილების და საჭიროების კვლევა უტარდებათ 3 წელიწადში ერთელ, ხოლო 1 წელი და ნაკლები პერიოდის დასაქმებულს დასაქმებიდან 1 წლის თავზე, ან სახელშეკრულებო პერიოდის დასრულებისას);
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა (2 წელზე მეტი პერიოდით ბუსსს ანრიში დასაქმებულ პირს, კმაყოფილების და საჭიროების კვლევა უტარდება 3 წელიწადში ერთელ, ხოლო 1 წელი და ნაკლები პერიოდის დასაქმებულს დასაქმებიდან 1 წლის თავზე, ან სახელშეკრულებო პერიოდის დასრულებისას);
- საბიბლიოთეკო რესურსებით კმაყოფილების კვლევა (ყოველწლიური);
- პროფესიული სტუდენტის მოლოდინის კვლევა (სასწავლო წლის დაწყებისას) და სხვა.

სასწავლებლის პერსონალის შეფასება ხორციელდება ბუსსს ანრის პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად. ადამიანური რესურსების შეფასებაში მონაწილეობს ადამიანური რესურსების მენეჯერი და ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

იხ. ცხრილი 1. რესურსების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩო

11. სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

ბუსსს ანრის მისიისა და მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტების, საწვრთნელი კურსების მსმენელებისა და პერსონალისთვის შეთავაზებული სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება პერიოდულად ხორციელდება დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით:

- პროფესიულ სტუდენტთა და საწვრთნელი კურსების მსმენელთა გამოკითხვა მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმირებისა და სერვისებით კმაყოფილების დონის შესწავლის მიზნით;

- პროფესიული განათლების მასწავლებლის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორთა გამოკითხვა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეთავაზებული ღონისძიებებით კმაყოფილების შესახებ;
- საბიბლიოთეკო სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება;
- და სხვა, საჭიროებიდან გამომდინარე

იხ. ცხრილი 1. რესურსების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩო

12. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ✓ თვითშეფასება (სამსახურის საქმიანობისა და ფუნქციების შესრულების ხარისხის, საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებისა და სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების დაგეგმილ ვადებში შესრულების დინამიკის შეფასება);
- ✓ ხმს შიდა შემოწმება;
- ✓ კვლევებით მიღებული შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შემუშავება;
- ✓ კვლევებით მიღებულ შედეგებზე რეაგირების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება.
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისთვის გარე ექსპერტების მოწვევა და მიღებული რეკომენდაციების მიხედვით საჭირო ცვლილებების განხორციელება.
- ✓ რევატორიზაცია ან სხვა წარმოება, რომელიც განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება.

13. SWOT ანალიზი

1) რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასწავლებელის საგანმანათლებლო საქმიანობის ანალიზი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ შედგენილი ე.წ. SWOT-ანალიზი, რომელიც ასახავს სასწავლო სასწავლებელის შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეებს და რისკებს გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

შიდა გარემო		გარე ფაქტორები	
ძლიერი მხარეები - Strengths		შესაძლებლობები - Opportunities	
სუსტი მხარეები - Weaknesses		საფრთხეები, რისკები - Threats	

2) სასწავლებელის საქმიანობის ობიექტური შეფასების მიზნით მოხდება ორი სასწავლო წლის შედეგების შედარება, რა მიზნითაც უნდა მოხდეს მიმდინარე და მომდევნო სასწავლო წლების SWOT-ანალიზების შედარება. ამ ორი SWOT ანალიზის შედარებით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა როგორ განვითარდება და საერთოდ განვითარდა თუ არა სასწავლებელი, რა პრობლემები იყო გადაჭრილი და რა ახალი პრობლემები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.

14. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლებლის მართვის პროცესში გამოყენებული პროცედურებისა და პროცესების გამართულობის, ფინანსური რესურსების მართვის ეფექტიანობის, სტრატეგიული მიზნებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ხარისხის, ასევე სასწავლებელში მიმდინარე პროცესების დაგეგმვისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზს.
მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზების გზით და მიზნად ისახავს მართვითი გადაწყვეტილებების გაუმჯობესებას, ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობასა და არსებული პროცესების დახვეწას. აღნიშნული პროცესი არ გულისხმობს ოპერაციულ მენეჯმენტში ჩარევას და ეფუძნება მოქმედი დოკუმენტაციისა და უკვე დანერგილი მექანიზმების გამოყენებას.

14.1 მართვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

მართვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეფუძნება თანმიმდევრულ და განმეორებად ციკლს, რომელიც მოიცავს:

1. სასწავლებელში მიმდინარე მართვითი პროცესების ანალიზს;
2. პროცესების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას;
3. გაუმჯობესებული ბიზნესპროცესების, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტირებასა და დანერგვას მოქმედი წესების ფარგლებში;
4. განხორციელებული ცვლილებების გაცნობას სასწავლებლის თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის.

აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს მართვის სისტემის უწყვეტ განვითარებას და ეფუძნება პროპორციულობისა და საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებს.

14.2 მართვის მონიტორინგისა და შეფასების ანალიზი

მიმდინარე პროცესების ანალიზი ხორციელდება არსებული შეფასების ინსტრუმენტებისა და დოკუმენტაციის გამოყენებით და, მათ შორის, მოიცავს:

- სასწავლებლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, მათ შორის დასახული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასებას განსაზღვრულ ვადებში და ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში;
- სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით;
- სასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელი და ანგარიშგებითი დოკუმენტაციის ანალიზს;
- ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების გადახედვას;
- სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების ანალიზს;
- სტრუქტურული ერთეულების მიერ მათი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სასწავლებლის საერთო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მიღწევის შეფასებას;
- სასწავლებლის თანამშრომელთა, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების გამოკითხვებს, მართვის სისტემისა და პროცესების გამართულობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრებისა და ფოკუსჯგუფების ჩატარებას საჭიროების შემთხვევაში.

მართვის მონიტორინგისა და შეფასების ციკლი ციკლი არის ყოველწლიური და ეფუძნება განვლილი წლის შეფასების შედეგებზე. მიღებული ინფორმაცია ფორმდება შეჯამებული სახით და აისახება ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტში (ნდ 2-0202-03) ან სხვა მოქმედ ანგარიშგებით დოკუმენტებში, მათი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად, დამატებითი ანგარიშგებითი ფორმების სავალდებულო შექმნის გარეშე.
მართვის მონიტორინგისა და შეფასება მიმდინარეობს ყოველი წლის ბოლოს.
მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

ცხრილი 1. სისტემური კვლევების დროის ჩარჩო:

მოცემული ცხრილი ასახავს ძირითად გამოკითხვებს, რომელიც ხორციელდება ბუსსს ანრიში. თითოეული კვლევა თავისი შინაარსით შესაძლებელია მოიცავდეს რამდენიმე შესაფასებელ საკითხს.
სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს შეიმუშავებს ხარისხის სამსახური და ამტკიცებს დირექტორი. სისტემური კვლევების დროის ჩარჩო შესაძლებელია დამტკიცებული იყოს 3 წლის ვადით.

კვლევა	თვე ან/და წელი												პასუხისმგებელი/ჩართული ერთეულები
პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა			√	√									ხარისხის სამსახური/ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების დეპარტამენტი
პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ფორმა			√	√									ხარისხის სამსახური/ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების დეპარტამენტი
მეზღვაურთა წვრთნის და სერთიფიცირების ცენტრის მსმენელების კმაყოფილების კვლევა								√	√				ხარისხის სამსახური/ მეზღვაურთა წვრთნის და სერთიფიცირების ცენტრი/მსმენელები
მეზღვაურთა წვრთნის და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორთა საჭიროების და კმაყოფილების კვლევა									√				ხარისხის სამსახური/ მეზღვაურთა წვრთნის და სერთიფიცირების ცენტრი/ინსტრუქტორები
პერსონალის კმაყოფილების კვლევა					√	√							ხარისხის სამსახური/ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი / პერსონალი
კურსდამთავრებულთა კვლევა									√				ხარისხის სამსახური/ფაკულტეტი
დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა[2]									√				ხარისხის სამსახური/პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება									√				ხარისხის სამსახური/პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროების და კმაყოფილების					√	√							ხარისხის სამსახური/ადამიანური რესურსების მენეჯერი / პერსონალი

15. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის გვარი, ინიციალები და თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტი

16. პერსონალის გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი			
2	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი			
3	ანა მუშამბაძე	ბიბლიოთეკის უფროსი			
4	ირაკლი ბეჟნიძე	IT ოპერატორი			
5	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი			
6	ომარი დიასამიძე	პრატიიკის განყ. უფროსი			
7	მინდია თავართქილაძე	ვახტის და შრომის უსაფრტხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი			

17. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1.დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირები

1.1 დოკუმენტი, რომელიც ექვემდებარება შეთანხმებას

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
Quality assurance mechanisms

ნდ № 2-0401-04

1.2 საშტატო განრიგის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ _____\

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე			
2	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი დავით ჩხაიძე			
3	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ _____ _____
ხელმოწერა სახელი, გვარი თარიღი